585
1977/2

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (435)

1977 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

4 (435) აპრილი 1977 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.
39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის პირველი მაისისა და ოქტომბრის სახელობის რაიონებს შორის საზღვრის შეცვლის შესახებ.
40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების წესის შესახებ.
42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.
44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165[1] მუხლში დამატების შეტანის შესახებ.
45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ტ. ვალ. შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. კეშელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ლ. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კიევის ივ. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ჭოველიძის [illegible]ოველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ბარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ბენის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ა. გუნკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. სარდარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

[illegible]ინფორმაციო ცნობები.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

38 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1977 წლის ივნისში მთავრდება საქართველოს სსრ მეთხუთმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილების ვადა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას 1977 წლის 19 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 5 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

39 ქალაქ თბილისის პირველი მაისისა და ოქტომბრის სახელობის რაიონებს შორის საზღვრის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ქალაქ თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის ტერიტორიისა და მოსახლეობის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამ რაიონის ტერიტორიის ნაწილის გადაცემა ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონისათვის. ამასთან დაკავშირებით ნაწილობრივ შეიცვალოს ამ რაიონების საზღვარი: რაიონებს შორის არსებული საზღვრის იმ წერტილიდან, რომელიც მდებარეობს კლარა ცეტკინისა და მარჯანიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, საზღვარი მიემართება კლარა ცეტკინის ქუჩით ჩელუსკინელების ქუჩამდე, შემდეგ მიჰყვება ჩელუსკინელების ქუჩას ორჯონიკიძის ქუჩამდე, გაჰყვება ორჯონიკიძის ქუჩას აბასთუმნის ქუჩის გადაკვეთამდე, გაივლის აბასთუმნის ქუჩის გასწვრივ ჩრდილო-აღმოსავლეთით რკინიგზის ხაზამდე, გაჰყვება რკინიგზას სამხრეთ-აღმოსავლეთით საბჭოს ქუჩის გადაკვეთამდე ამ რაიონებს შორის არსებულ საზღვრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 13 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

40 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ და „იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს დაემატოს მუხლი 39[1]“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 და 15 თებერვლის ბრძანებულებების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 25-ე, 54-ე და 54[1] მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. თავისუფლების აღკვეთა

თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება ვადით არა ნაკლები სამი თვისა და არა უმეტეს ათი წლისა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, დანაშაულისათვის, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისათვის იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით და ამ კოდექსით, — არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

როდესაც სასჯელი ენიშნება იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს.

სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდა დაენიშნებათ გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში, საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში ან საპყრობილეში, აგრეთვე საერთო და გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში.

შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდა დაენიშნებათ მამაკაცებს:

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის, ან პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე იმათ, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ხუთ წელზე მეტი ვადით გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — საერთო რეჟიმის კოლონიაში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით მძიმე დანაშაულისათვის, — გაძლიერებული რეჟიმის **კოლონიაში;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებსაც მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები) ან რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში;

რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში.

ქალებს, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის მოხდა შრომა-გასწორების კოლონიაში დაენიშნებათ: თუ ისინი ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რედიციივისტებად, აგრეთვე მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები), — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში; რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში; სხვა ქალებს, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, — საერთო რეჟიმის კოლონიაში.

სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში დაენიშნებათ:

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე დანაშაულისათვის, ან პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე მდედრობითი სქესის არასრულწლოვანებს, — საერთო რეჟიმის კოლონიაში;

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე იმათ, რომლებსაც ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით მძიმე დანაშაულისათვის, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში.

ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს, მიღებული გადაწყვეტილების მოტივების აღნიშვნით, შეუძლია დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთით სასჯელის მოხდა იმათ, რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ათი წლისა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში; მსჯავრდებულებს, რომლებიც არ არიან ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, — ნებისმიერი სახეობის შრომა-გასწორების კოლონიაში, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიისა, ხოლო მამრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულებს — საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმის კოლონიისა.

თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით, სასჯელის მთელი ან ნაწილობრივი ვადით, შეიძლება დაენიშნოთ:

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს;

პირებს, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის შესრულების შემდეგ ჩაიდინეს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული (65-74-ე მუხლები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირებს, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის შესრულების შემდეგ ჩაიდენეს სხვა მძიმე დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით ხუთ წელზე მეტი ვადით.

მსჯავრდებულისათვის დანიშნული შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის შეცვლას აწარმოებს სასამართლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით";

„მუხლი 54. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით

პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, გადასახლება, გასახლება, გამასწორებელი სამუშაოები ან სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, აგრეთვე პირებს, რომლებიც პირობით არიან გათავისუფლებულნი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით ამ კოდექსის 54² მუხლის შესაბამისად, გარდა ამ კოდექსის 54¹ მუხლში ჩამოთვლილი პირებისა, შეიძლება შეეფარდოთ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის აღსრულების გამგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით; იმ პირის მიმართ კი, რომელსაც მისჯილი აქვს პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან რომელიც პირობით არის გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით, — აგრეთვე მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი წარდგინებით, ხოლო თუ პირი სასჯელს იხდის სადისციპლინო ბატალიონში, — სადისციპლინო ბატალიონის მეთაურის წარდგინებით.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული ფაქტიურად მოიხდის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარს.

იმ პირთა მიმართ:

1) რომლებიც მსჯავრდებული არიან განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით;

2) რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსნამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა.

3) რომლებმაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის დროს ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა,—

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

იმ პირთა მიმართ:

1) რომლებიც მსჯავრდებული არიან ბანდიტიზმისათვის (78-ე მუხლი); მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (78[1] მუხლი); ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (88-ე მუხლის მეორე ნაწილი); სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (89-ე მუხლის მეორე ნაწილი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით (96[1] მუხლი), ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები); გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი); ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (189-ე, 189[1] და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები); მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დამამძიმებელ გარემოებებში (209[1] მუხლი); განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი); ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი); საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის (242[2] მუხლი); ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნით ან ამ ნივთიერებათა გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252-ე მუხლის მეორე ნაწილი); ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252[1] მუხლის მეორე და მესამე ნაწილები),

2) რომლებიც წინათ მსჯავრდებული იყვნენ თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის და მათ შეეფარდათ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ მათ სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა,—

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ სამი მეოთხედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისას მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე დამატებითი სასჯელისაგან, როგორიცაა გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავება ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას გადასახლებით, გასახლებით ან გამასწორებელი სამუშაოებით ისინი დაინიშნებიან ამ სახეობის სასჯელისათვის კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში და არ უნდა აღემატებოდნენ თავისუფლების აღკვეთის მოუხდელ ვადას.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოყენებისას სასამართლოს შეუძლია დააკისროს მშრომელთა გარკვეულ კოლექტივს, ამ უკანასკნელის თანხმობით, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში მეთვალყურეობა გაუწიოს ვადამდე პირობით გათავისუფლებულს ან იმ პირს, რომელსაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით, და გასწიოს მასთან აღმზრდელობითი მუშაობა.

თუ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულმა პირმა სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით. ამასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია ძირითად სასჯელს მიუმატოს პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის დამატებითი ზომა.

მუხლი 54[1]. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოუყენებლობა

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება იმ პირის მიმართ:

1) რომელიც ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად;

2) რომელიც მსჯავრდებულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები);

3) რომელიც მსჯავრდებულია განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (104-ე მუხლი და 258-ე მუხლის „გ“ პუნქტი, აგრეთვე 78-ე, 78[1] და 209[1] მუხლები იმ შემთხვევებში, როდესაც ამ მუხლებით გათვალისწინებულ ქმედობას თან სდევს მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში);

4) რომელსაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით“.

2. შეივსოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი შემდეგი შინაარსის 25[1], 47[1], 48[1], 51[1], 54[2] და 203[1] მუხლებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხლი 25[1]. პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით

იმ სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის ვადით სამ წლამდე, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის — ვადით ხუთ წლამდე, სასამართლოს, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია დამნაშავის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, მაგრამ მასზე ზედამხედველობის განხორციელების პირობებში, შეუძლია დანიშნული სასჯელის ვადით შეუფარდოს მას პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. განაჩენში მითითებულ უნდა იქნეს ასეთი გადაწყვეტილების მოტივები.

პირობით თავისუფლების აღკვეთისას მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით სასამართლომ შეიძლება მსჯავრდებულს დაუნიშნოს აგრეთვე დამატებითი სასჯელი იმ შემთხვევებში და წესით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით. ამ კოდექსის 46-ე მუხლის მეორე ნაწილის წესები ამ მსჯავრდებულთა მიმართ არ გამოიყენება.

პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ გამოიყენება:

ა) იმ პირთა მიმართ, რომლებსაც მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები); ბანდიტიზმისათვის (78-ე მუხლი); განზრახი მკვლელობისათვის (104-ე, 105-ე მუხლები, 258-ე მუხლის „გ“ პუნქტი); სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (110-ე მუხლი); გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი); განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი);

2) იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელთან ერთად ენიშნებათ ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის იძულებითი მკურნალობის ზომები, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ გაუვლიათ ვენერიული დაავადების მკურნალობის სრული კურსი;

3) მსჯავრდებული უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ.

პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ გამოიყენება აგრეთვე:

იმ პირთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი არიან პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდებად; ორსული ქალების მიმართ; იმ ქალების მიმართ, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ ორ წლამდე ასაკის ბავშვები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე 55 წლის ასაკს ზევით ქალებისა და 60 წლის ასაკს ზევით მამაკაცების მიმართ;

ვადიანი სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, [illegible] დანაშაული ჩაიდინეს.

თუ პირობით მსჯავრდებული თავს არიდებს განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში მუშაობას, ან სისტემატურად ან ბოროტად არღვევს შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან მისთვის დადგენილი ცხოვრების წესებს, სასამართლოს განჩინებით იგი გაიგზავნება განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად. ამასთან, სამუშაოსათვის თავის არიდების დრო არ ეთვლება, ხოლო დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული მუშაობდა, სასამართლომ შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაუთვალოს სასჯელის მოხდის ვადაში ანგარიშით ერთი დღე ერთ დღედ.

თუ პირობით მსჯავრდებულმა სასამართლოს მიერ განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის განმავლობაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 41ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით";

„მუხლი 47[1] არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადება

იმ არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, სასამართლოს, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია დამნაშავის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, შეუძლია თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება ასეთი პირის მიმართ გადადოს ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე. სასამართლოს შეუძლია ასეთ შემთხვევებში გადადოს დამატებითი სასჯელის აღსრულებაც.

არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადიდებისას სასამართლოს შეუძლია დაავალოს მას განსაზღვრულ ვადაში დაიწყოს მუშაობა ან სწავლა, გამოასწოროს მიყენებული ზიანი, სასამართლოს შეუძლია აგრეთვე დააკისროს მშრომელთა გარკვეულ კოლექტივს ან პირს, მათი თანხმობით მეთვალყურეობა გაუწიოს მსჯავრდებულს და გასწიოს მასთან აღმზრდელობითი მუშაობა.

კონტროლს იმ მსჯავრდებულთა ყოფაქცევაზე, რომელთა მიმართაც თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება გადიდებულია, ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები და შინაგან საქმეთა ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ მსჯავრდებული სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენის აღსრულების გადადების დროის განმავლობაში სამაგალითო ყოფაქცევითა და შრომისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლებისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, მაშინ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს იგი სასჯელისაგან.

თუ მსჯავრდებული, რომლის მიმართაც თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება გადაიდო, არ ასრულებს სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ან არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, რასაც მოჰყვა ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენება, მაშინ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგინებით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულების გადადება და გაიგზავნოს მსჯავრდებული განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად.

თუ მსჯავრდებული, რომლის მიმართაც განაჩენის აღსრულება გადაიდო, ახალ დანაშაულს ჩაიდენს, სასამართლო ახალ სასჯელს მიუმატებს ადრე დანიშნულ სასჯელს ამ კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით“;

„მუხლი 48[1]. პატიმრობაში ყოფნის ვადის ჩათვლა

იმ პირს, რომელსაც შეეფარდა პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, პატიმრობაში ყოფნის ვადა ჩაეთვლება სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადაში ანგარიშით ერთი დღე ერთ დღედ“;

მუხლი 51[1]. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით, ამ კოდექსის 51-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული საფუძვლების არსებობისას, დასაშვებია მხოლოდ ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქ სასჯელს“;

მუხლი 54[2]. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით

იმ სრულწლოვან შრომისუნარიან პირთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გარდა იმ მსჯავრდებულებისა, რომლებიც სასჯელს იხდიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში, აგრეთვე კოლონია-დასახლებებში, თუ ასეთ პირთა შემდგომი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, მაგრამ მათზე ზედამხედველობის განხორციელების პირობებში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით, განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

1) იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ვადით ათ წლამდე ჩათვლით, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ერთი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ;

2) იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ათ წელზე მეტი ვადით, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ნახევრის ფაქტიურად მოხდის შემდეგ;

3) იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ამ კოდექსის 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილში ჩამოთვლილ დანაშაულთათვის, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ;

4) იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ კოდექსის 54^1 მუხლში, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ სამი მეოთხედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებას მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით გამოიყენებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის აღსრულებისა განმგებელი ორგანოს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით.

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ გამოიყენება:

1) იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩამოთვლილია ამ კოდექსის 25^1 მუხლის მესამე ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტებში;

2) იმ პირთა მიმართ, რომლებიც სისტემატურად ან ბოროტად არღვევენ სასჯელის მოხდის რეჟიმის მოთხოვნებს.

თუ პირობით გათავისუფლებული თავს არიდებს მუშაობას ან სისტემატურად ან ბოროტად არღვევს შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან მისთვის დადგენილი ცხოვრების წესებს, სასამართლოს განჩინებით იგი გაიგზავნება განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად. ამასთან, სამუშაოსათვის თავის არიდების დრო არ ეთვლება, ხოლო დრო, რომლის განმავლობაშიც პირობით გათავისუფლებული მუშაობდა, სასამართლომ შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაუთვალოს სასჯელის მოხდის ვადაში ანგარიშით ერთი დღე ერთ დღედ.

თუ პირობით გათავისუფლებულმა მუშაობის სავალდებულო ვადის განმავლობაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით";

„მუხლი 203^1. თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისაგან თავის არიდება

იმ მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდება, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მოკლევადიანი გასვლის ნებართვა აქვს,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე".

3. მე-12 მუხლის მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სასჯელისაგან".

4. 46-ე და 55-ე მუხლებში სიტყვები „42-ე მუხლით" შეიცვალოს სიტყვებით „41-ე და 42-ე მუხლებით".

5. 51-ე მუხლს დაემატოს მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ისეთი დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეულ იქნება, რომ მისი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოუყენებლად. ამ შემთხვევაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

1) პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ (51[1] მუხლი);

2) ამხანაგური სასამართლოს განსახილველად საქმის მასალების გადაცემის შესახებ (52-ე მუხლი);

3) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის განსახილველად საქმის მასალების გადაცემის შესახებ (მე-12 მუხლი);

4. საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ან მშრომელთა კოლექტივისათვის პირის თავდებქვეშ გადაცემის შესახებ (53-ე მუხლი)".

6. 52-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 52. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ამხანაგური სასამართლოს განსახილველად საქმის მასალების გადაცემით

თუ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, და თუ დამნაშავის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოუყენებლად, ეს პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და საქმის მასალები განსახილველად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს".

7. 57-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს 2[1] და 2[2] პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

„2[1]) ის პირნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, თუ ისინი შრომაში სავალდებულო ჩაბმის ვადის განმავლობაში არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს ან არ გაიგზავნებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოსახდელად კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით;

2[2]) ის პირნი, რომლებიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით ამ კოდექსის 47[1] მუხლის გამოყენებით, თუ ისინი განაჩენის აღსრულების გადადების დროის განმავლობაში არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს და მათ მიმართ განაჩენი დადგენილი წესით სისრულეში არ იქნება მოყვანილი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. 64-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-7 პუნქტი და ამ მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7) არასრულწლოვანის მოთავსება სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწოვანთა მოთავსების ვადა, წესი და პირობები განისაზღვრება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებით“.

9. 128-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხულიგნობა, ესე იგი განზრახი მოქმედება, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივისმცემლობას საზოგადოებისადმი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“.

II. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

41 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელსა და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლში აღნიშნული საფუძვლების მიხედვით. ამ შემთხვევებში წინასწარი გამოძიება ან მოკვლევა მთავრდება მოტივირებული დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოსაყენებლად სასამართლოში მასალების გადაგზავნის შესახებ.

სასამართლოს უფლება აქვს განმწესრიგებელ ან სამსჯავრო სხდომაზე იმავე საფუძვლებით, თავისი მოტივირებული განჩინებით, შეწყვიტოს შემოსული სისხლის სამართლის საქმე.

2. სახალხო მოსამართლე მასალებს ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების შესახებ განიხილავს ერთპიროვნულად, სასამართლოში ამ მასალების შემოსვლიდან ან სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტიდან ათი დღის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოსამართლე ამ მასალებს განიხილავს ადმინისტრაციულ პასუ-ხისგებაში მიცემული პირის მონაწილეობით და, თუ საჭიროა, დაჰკითხავს მოწ-მეებს და გამოიკვლევს სხვა მტკიცებულებებს.

3. იმ პირთა მიმართ, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან სისხლის სა-მართლის პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლის შესაბამისად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინის-ტრაციული სასჯელის შემდეგი ზომები: ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ან გა-მასწორებელი სამუშაოები დამნაშავის სამუშაო ადგილის მიხედვით ვადით ერ-თიდან ორ თვემდე ხელფასის ოც პროცენტამდე დაქვითვით, ან პატიმ-რობა ვადით თხუთმეტ დღემდე.

4. დაადგენს რა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს იმ პირის მიერ, რომ-ლის მიმართაც განიხილება მასალები ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების შესახებ, სახალხო მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ამ ბრძა-ნებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ზომის გამოყენების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი დადგენილი არ არის, სახალხო მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების შესახებ წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

თუ სახალხო მოსამართლე დაასკვნის, რომ პროკურორმა, გამომძიებელმა ან მოკვლევის ორგანომ დაუსაბუთებლად შეწყვიტეს სისხლის სამართლის საქმე, მას გამოაქვს დადგენილება ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამო-ყენებაზე უარის თქმისა და პროკურორისათვის საქმის დაბრუნების შესახებ.

თუ სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განხილვისას თავის სხდო-მაზე დაასკვნის, რომ არსებობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექ-სის 51[1]მუხლში აღნიშნული საფუძვლები, მას გამოაქვს განჩინება სისხლის სა-მართლის საქმის შეწყვეტისა და ადმინისტრაციული სასჯელის ზომის გამოყენე-ბის შესახებ.

სახალხო მოსამართლის აღნიშნული დადგენილებები და სასამართლოს გან-ჩინება შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულია ად-მინისტრაციული სასჯელის ზომა, და გააპროტესტოს პროკურორმა ზემდგომ სასამართლოში, მათი გამოტანიდან ხუთი დღე-ღამის განმავლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

42 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების

საფუძვლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“ 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულებებისა და „იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს დაემატოს 39[1] მუხლი“ 1977 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. დაემატოს კოდექსს 6^1, 6^2, 374^1, 374^2 და 379 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

მუხლი 6^1. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით, ამხანაგური სასამართლოსათვის, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის მასალების გადაცემით ან დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემით

სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეიძლება შეწყდეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით იმასთან დაკავშირებით, როდესაც:

1) პირს აძლევენ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში;

2) საქმის მასალებს განსახილველად გადასცემენ ამხანაგურ სასამართლოს;

3) საქმის მასალებს განსახილველად გადასცემენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას;

4) პირს თავდებქვეშ გადასცემენ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან მშრომელთა კოლექტივს.

მუხლი 6^2. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით

პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელსა და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვს შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51^1 მუხლში აღნიშნული საფუძვლებით. ამ შემთხვევებში წინასწარი გამოძიება ან მოკვლევა მთავრდება მოტივირებული დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოსაყენებლად სასამართლოში მასალების გადაგზავნის შესახებ.

სასამართლოს უფლება აქვს განმწესრიგებელ ან სამსჯავრო სხდომაზე, იმავე საფუძვლებით, თავისი მოტივირებული განჩინებით შეწყვიტოს მასთან შემოსული სისხლის სამართლის საქმე.

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ატყობინებენ იმ პირს, რომლის მიმართაც საქმე შეწყდა, და დაზარალებულს. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ ხუთი დღე-ღამის განმავლობაში გაასაჩივრონ სასამართლოს განჩინება ან პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევის ორგანოს დადგენილება შესაბამისად, ზემდგომ სასამართლოში ან ზემდგომ პროკურორთან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 374[1]. პიროვნით თავისუფლებააღკვეთილი და თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებული პირის გათავისუფლება სასჯელის მოხდისაგან ინვალიდობის გამო

იმ შემთხვევაში, თუ შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებული პირი კანონით დადგენილი წესით ცნობილია პირველ ან მეორე ჯგუფის ინვალიდად და თუ ინვალიდობა მან მიიღო შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად, სასამართლო ვადამდე ათავისუფლებს მას სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

თუ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულმა პირმა მიიღო ისეთი მიზეზებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მის საწარმოო საქმიანობასთან, სასამართლოს შეუძლია ან ვადამდე გაათავისუფლოს ასეთი პირი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან გაგზავნოს იგი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად.

იმ პირების გათავისუფლებას სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნას, რომლებმაც პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა მიიღეს, აწარმოებს სასამართლო მათი სამუშაო ადგილის მიხედვით, სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს წარდგინებით, საექიმო-შრომითი საექსპორტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 374[2]. პირობით თავისუფლებააღკვეთილი და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაგზავნა განაჩენის შესაბამისად

განაჩენის აღსრულებისათვის თავის არიდების შემთხვევაში შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი პირის თავისუფლების აღკვეთის ადგილას გაგზავნას, განაჩენის შესაბამისად, აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის დაკავების ადგილის მიხედვით, შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგინებით.

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების გაგზავნას განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25[1] მუხლის მეხუთე ნაწილითა და 54[2] მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აწარმოებს სასამართლო პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან პირობით გათავისუფლებული პირის სამუშაო ადგილის მიხედვით, განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით.

განაჩენის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუ-

კ. მარქსის სახ. ... სახელმწიფო ...

ფლებული იმ პირების გაგზავნას, რომლებიც თვითნებურად გავიდნენ სამუშაო ადგილის მიხედოით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებიდან, აწარმოებს სამართლო მსჯავრდებულის დაკავების ადგილის მიხედვით, შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგინებით".

„მუხლი 379[1]. სასამართლოები, რომლებიც წყვეტენ არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადებასთან დაკავშირებულ საკითხებს

იმ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლებას, რომლის მიმართ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47[1] მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით განაჩენის აღსრულება გადაიდო, აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი წარდგინებით.

თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულების გადიდების გაუქმებას და მსჯავრდებულის გაგზავნას განაჩენით დანიშნული სასჯელის მოსახდელად აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი წარდგინებით".

2. 88-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიება, ამ კოდექსის მე-10 მუხლისა და 1969 წლის 11 ივლისის კანონით დამტკიცებული დებულების მოთხოვნათა დაცვით, გამოიყენება იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევებში აღკვეთის ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ დანაშაულთა საქმეებზეც, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა ერთ წელს არ აღემატება".

3. 304-ე მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილით:

„არასრულწლოვანისათვის განაჩენის გამოტანის დროს, ამ მუხლში მითითებული საკითხების გარდა, სასამართლო მოვალეა განიხილოს საკითხები:

1. არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადიდების შესაძლებლობის შესახებ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

2. პირობითი მსჯავრის ან სასჯელის ისეთი ზომის გამოყენების შემთხვევაში, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, ანდა განაჩენის აღსრულების გადადების დროს არასრულწლოვანისათვის საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნის აუცილებლობის შესახებ".

4. 373-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 373. განაჩენის აღსრულების გადადება

თავისუფლების აღკვეთით, გადასახლებით, გასახლებით, თავისუფლების აღუკვეთელად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებული პირისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაჩენის აღსრულების გადადება შეიძლება ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

1. მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის გამო, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, — მის გამოჯანმრთელებამდე;

2. განაჩენის აღსრულების მომენტისათვის მსჯავრდებული ქალის ორსულობის გამო — არა უმეტეს ერთი წლით;

3. თუ მსჯავრდებულ ქალს ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი — ვიდრე ბავშვი მიაღწევდეს სამი წლის ასაკს;

4. თუ სასჯელის დაუყოვნებლივ მოხდას შეიძლება მოჰყვეს მსჯავრდებულისათვის ან მისი ოჯახისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგი ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების, მძიმე ავადმყოფობის, ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის სიკვდილის ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო — სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

ჯარიმის გადახდის გადადება ან განვადება შეიძლება ექვს თვემდე ვადით, თუ მსჯავრდებულის მიერ ჯარიმის დაუყოვნებლივ გადახდა შეუძლებელია".

5. 375-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით, იმ პირის მიმართ კი, რომელსაც მისჯილი აქვს პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან რომელიც პირობით არის გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით, — აგრეთვე მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი წარდგინებით, ხოლო თუ პირი სასჯელს იხდის სადისციპლინო ბატალიონში, — სადისციპლინო ბატალიონის მეთაურის წარდგინებით".

6. 376-ე მუხლში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 376. თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმის შეცვლა. შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთის, გამასწორებელი სამუშაოებისა და ჯარიმის შეცვლა სასჯელის სხვა ზომით"

ბ) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შრომისუუნაროდ ცნობილი პირისათვის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთის შეცვლას თავისუფლების აღკვეთით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25[1] მუხლის შესაბამისად, გამასწორებელი სამუშაოების შეცვლას ჯარიმით ან საზოგადოებრივი გაკიცხვით, აგრეთვე გამასწორებელი სამუშაოების შეცვლას თავისუფლების აღკვეთით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მეოთხე და მეექვსე ნაწილების შესაბამისად აწარმოებს სასამართლო ამ სახის სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით“.

7. 379-ე მუხლში:

ა) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკითხები ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების, სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნის, ერთი შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან სხვა სახის რეჟიმის კოლონიაში, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში, შრომა-გასწორების კოლონიიდან საპყრობილეში და საპყრობილედან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის, საერთო შრომის სტაჟში კოლონია-დასახლებაში მუშაობის დროის ჩათვლის შესახებ გადაწყდება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს განჩინებით სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი“.

ბ) მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილით:

„საკითხები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25^1 მუხლის მეხუთე ნაწილი და 54^2 მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნის შესახებ გადაწყდება სასამართლოს განჩინებით მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით“.

8. 308-ე მუხლში:

ა) მეორე ნაწილში სიტყვები „ავადმყოფობის გამო ან“ შეიცვალოს სიტყვებით „ავადმყოფობის, ინვალიდობის გამო ან“;

ბ) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოს მიერ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნის, ერთი შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან სხვა სახის რეჟიმის კოლონიაში, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში, შრომა-გასწორების კოლონიიდან საპყრობილეში ან საპყრობილედან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის საკითხის განხილვისას გამოიძახებენ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს წარმომადგენელს. იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო საქმეს განიხილავს სასჯელის აღსრულე-

ბის განმგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო-სა და სრულწლოვანთა საქმეების კომისიების ერთობლივი წარდგინებით, ანდა-ასაჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს წარდგინებით, რომელიც ამ კომისიებთან არის შეთანხმებული, მოიწვევენ ამ კომისიების წარმომადგენლებსაც“.

9. 384-ე მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილით:

„თუ არსებობს მონაცემები, რომლებიც მოწმობენ კანონის აშკარა დარღვევას, ამ მუხლის პირველ ნაწილში დასახელებულ პირებს უფლება აქვთ სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვასთან ერთდროულად, არა უმეტეს სამი თვის ვადით, შეაჩერონ განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება მათ გაპროტესტებამდე“.

10. შეტანილ იქნეს 126-ე, 317-ე, 318-ე და 343-ე მუხლებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილში ციფრები „203, 204“ შეიცვალოს ციფრებით „203-204“;

ბ) 317-ე მუხლის მეორე ნაწილი შეივსოს სიტყვებით: „არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტის საფუძველი“;

გ) 318-ე მუხლის პირველი ნაწილი შეივსოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტით:

„7. არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადების ხანგრძლივობა და თუ ვის ეკისრება მსჯავრდებულზე მეთვალყურეობის მოვალეობა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება“;

დ) 343-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ციფრის „309“ შემდეგ შეივსოს ციფრით „374[2], ხოლო ციფრები „378 და 381“ შეიცვალოს ციფრებით „378, 379[1] და 381“.

11. კოდექსიდან ამოღებულ იქნეს 404-ე მუხლი.

II. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

43 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 თებერვლის

ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. შეივსოს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსი შემდეგი შინაარსის III-ა კარით:

„კ ა რ ი III-ა

მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთისა და მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლების აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 82[1]. მსჯავრდებულის გაგზავნა შრომაში სავალდებულო ჩაბმის ადგილზე

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი პირი, რომელიც განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის თავისუფალი არის, სამუშაო ადგილზე მიდის დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ხარჯზე. ამ შემთხვევაში სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, შინაგან საქმეთა ორგანოს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უგზავნის განკარგულებას განაჩენის აღსრულების შესახებ. შინაგან საქმეთა ორგანო მსჯავრდებულს ჩააბარებს მიწერილობას სამუშაო ადგილზე გამგზავრების შესახებ. მიწერილობის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა მსჯავრდებული მოვალეა გაემგზავროს სამუშაო ადგილზე და მივიდეს იქ გამგზავრების მიწერილობაში აღნიშნული მგზავრობისათვის საჭირო ვადის განმავლობაში.

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი, რომელიც განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის პატიმრობაშია, სამუშაოდ იგზავნება თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის დადგენილი წესით. ეს პირნი, აგრეთვე შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირები, სამუშაო ადგილებზე მისვლისთანავე უნდა გაათავისუფლონ პატიმრობიდან.

პირს, რომელსაც პირობით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით არა უმეტეს ერთი წლით, სამუშაოში ჩააბამენ, როგორც წესი, იმ მშენებლობაზე (საწარმოში), რომელიც განლაგებულია მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რაიონში ან სხვა ადგილას — შესაბამისად, ავტონომიური ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში ან საქართველოს სს რესპუბლიკის რომელიმე სხვა რაიონში.

პირები, რომლებიც დანაშაულის თანამონაწილენი არიან, სამუშაოდ, როგორც წესი, სხვადასხვა საწარმოში იგზავნებიან.

თუ მსჯავრდებული თავს არიდებს სამუშაო ადგილზე გამგზავრების მიწერილობის მიღებას, არ გაემგზავრება დადგენილ ვადაში ან არ გამოცხადდება სამუშაო ადგილზე, მას დააკავებს შინაგან საქმეთა ორგანო პროკურორის

სანქციით ვადით არა უმეტეს 30-დღე-ღამისა სამუშაო ადგილზე დამოუკიდებლად მისვლის წესის დარღვევის მიზეზების დასადგენად. შინაგან საქმეთა ორგანო დაკავებულს გზავნის სამუშაო ადგილზე თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის დადგენილი წესით ან, თუ არსებობს მონაცემები განაჩენის აღსრულებისათვის თავის არიდების შესახებ, გადასცემს მასალებს სასამართლოში მსჯავრდებულის დაკავების ადგილის მიხედვით განაჩენის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მისი გაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად.

მუხლი 82². პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა მოვალეობანი და უფლებები

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილ და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებულ პირებს დაკისრებული აქვთ მოვალეობანი და მინიჭებული აქვთ უფლებები, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით სსრ კავშირის მოქალაქეთათვის, მაგრამ შემდეგი შეზღუდვებით:

— ისინი მოვალენი არიან იმუშაონ იქ, სადაც მათ გაგზავნიან განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოები, ხოლო საწარმოო აუცილებლობის შემთხვევაში ისინი, მათი თანხმობის გარეშე, შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა სამუშაოზე, აგრეთვე სამუშაოზე ტერიტორიულად სხვა ადგილას. ეს პირები მოვალენი არიან იცხოვრონ, როგორც წესი, მათთვის სპეციალურად განკუთვნილ საერთო საცხოვრებლებში; თუ კარგად მოიქცევიან, კეთილსინდისიერად მოეკიდებიან შრომას და ჰყავთ ოჯახი, მათ, შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით, შეიძლება მისცენ ოჯახთან ცხოვრების ნებართვა მათ მიერ დაქირავებულ ბინაში;

მათ ეკრძალებათ მუშაობის სავალდებულო ვადის პერიოდში დატოვონ ადმინისტრაციული რაიონის ფარგლები თავიანთი სამუშაო ადგილის მიხედვით იმ შინაგან საქმეთა ორგანოს სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას. ამასთან, ისინი მოვალენი არიან გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა ორგანოში რეგისტრაციისათვის თვეში ერთიოთხჯერ. მსჯავრდებულის რეგისტრაციის პერიოდულობა დაწესდება იმ შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით, რომელიც მსჯავრდებულზე ზედამხედველობას ახორციელებს.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამაგალითო ყოფაქცევისას და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებისას, საწარმოს ადმინისტრაციისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით დაშვებულია შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების მივლინებაში, შვებულებაში ან სხვა საპატიო მიზეზით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებიდან გასვლა.

მუხლი 82³. პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა პასუხისიგებლობა შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგისა და რეგისტრაციის წესების დარღვევისათვის

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობით გათავისუფლებული პირების მიერ შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა იწვევს დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის ან რეგისტრაციის წესების დამრღვევ პირებს შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით შეიძლება ექვს თვემდე ვადით აეკრძალოთ საერთო საცხოვრებელს გარეთ ცხოვრება. საერთო საცხოვრებლიდან გასვლა დადგენილ დროს, აგრეთვე ყოფნა გარკვეულ ადგილებში.

თუ მსჯავრდებული სამუშაოზე არ გამოცხადდება სამ დღე-ღამეზე მეტ ხანს უცნობი მიზეზების გამო ან ასეთი პირი დადგენილ ვადაში არ დაბრუნდება სამუშაო ადგილზე შვებულებიდან ან მივლინებიდან, ადმინისტრაცია მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოს.

მსჯავრდებულს, რომელიც თვითნებურად დატოვებს ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს სამუშაო ადგილის მიხედვით, დააკავებს შინაგან საქმეთა ორგანო პროკურორის სანქციით ვადით არა უმეტეს 30 დღე-ღამისა თვითნებური გასვლის მიზეზების დასადგენად. შინაგან საქმეთა ორგანო დაკავებულს გაგზავნის სამუშაო ადგილზე თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის დადგენილი წესით ან, თუ არსებობს მონაცემები განაჩენის აღსრულებისათვის თავის არიდების შესახებ, გადასცემს მასალებს სასამართლოში მსჯავრდებულის დაკავების ადგილის მიხედვით განაჩენის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მისი გაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად.

მუხლი 82[4]. ზედამხედველობა პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირებზე

ზედამხედველობა შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების ყოფაქცევაზე ეკისრებათ შინაგან საქმეთა ორგანოებს. ზედამხედველობის განხორციელების წესს ადგენს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით.

მუხლი 82[5]. პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა შრომა ამ პირთა სამუშაოდან დათხოვნა და ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ გადაყვანა

იმ საწარმოთა ადმინისტრაცია, სადაც შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირნი მუშაობენ, მოვალეა უზრუნველყოს ამ პირების ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში; ამასთან, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპეციალობები, რომლებიც მათ აქვთ, მოაწყონ მათი პროფესიული სწავლება, შეუქმნან საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

სამუშაოთა ადმინისტრაციას ეკრძალება პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა დათხოვნა სამუშაოდან შრომაში სავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულო ჩაბმის ვადის განმავლობაში, გარდა სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების, სხვა საწრმოში გადაყვანის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოსახდელად გაგზავნის ან დადგენილი წესით პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდად ცნობის შემთხვევებისა.

ამ პირთა ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ გადაყვანა შეუძლია ადმინისტრაციას მხოლოდ იმ შინაგან საქმეთა ორგანოსთან შეთანხმებით, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს.

მუხლი 82[6]. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირებთან

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილ და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებულ პირებთან ტარდება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის მიზანია მათი აღზრდა შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სოციალისტური საკუთრებისადმი მომჭირნე დამოკიდებულების სულისკვეთებით, შეგნებისა და კულტურის დონის ამაღლება, მათი სასარგებლო ინიციატივის განვითარება.

მსჯავრდებულთა მონაწილეობა პოლიტიკურ-აღმზრდელობით ღონისძიებებში წახალისდება და გათვალისწინებული იქნება მათი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ხარისხის განსაზღვრისას.

მსჯავრდებულებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ატარებენ ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მსჯავრდებულთა სამუშაო ადგილის მიხედვით და განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანო".

II. შეტანილ ქინეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-18 მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „სსრ კავშირის მსჯავრდებული მოქალაქეებისაგან" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მსჯავრდებულნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შესაბამისად გაგზავნილი არიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში და ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კოლონია-დასახლებაში გადაყვანილი მსჯავრდებულნი თავსდებიან განცალკევებით, სხვადასხვა კოლონია-დასახლებაში".

2. 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. შრომა-გასწორების კოლონიების სახეობები

შრომა-გასწორების კოლონიები იყოფა საერთო რეჟიმის, გაძლიერებული რეჟიმის, მკაცრი რეჟიმის, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებად, გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებად და კოლონია-დასახლებად".

3. 23-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის პირველად მიესა-

ჯათ თავისუფლების აღკვეთა, რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს სამი წლისა და რომლებსაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, აგრეთვე თავისუფლებაგაღკვეთილი ქალები, გარდა იმ ქალებისა, რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ან მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ანდა რომლებსაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალად თავისუფლების აღკვეთით".

4. 27-ე მუხლში:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში სასჯელს იხდიან პირველად მსჯავრდებულნი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, ხოლო შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში სასჯელს იხდიან პირები, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას და რომლებიც გადმოყვანილი არიან ასეთ კოლონიაში საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის კოლონიებიდან ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით".

ბ) მესამე ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში და კოლონია-დასახლებაში მსჯავრდებულთ";

გ) მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილით:

„თუ მსჯავრდებულნი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში, და მსჯავრდებულნი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს კოლონია-დასახლებაში, სადაც ისინი გადაიყვანეს ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, კეთილსინდისიერად მუშაობდნენ და სამაგალითოდ იქცეოდნენ, სასაამრთლოს, სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი შუამდგომლობით, შეუძლია ჩათვალოს კოლონია-დასახლებაში მათი მუშაობის დრო საერთო შრომის სტაჟში".

5. 34-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად საპყრობილისა და საგამოძიებო იზოლატორის სამეურნეო მომსახურების სამუშაოსათვის დატოვებულ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ ისარგებლონ ფულით, ჰქონდეთ პაემანი, მიიღონ ამანათები, გადაცემები და ბანდეროლები საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის დადგენილი ნორმით, მათ ღია საკნებში ამყოფებენ. ორი ხანგრძლივი პაემანი შეეცვლებათ ექვსი ხანმოკლე პაემანით".

6. 41-ე მუხლის მერვე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებით და ამ კოდექსით დადგენილი წესით მსჯავრდებულებს ნება ეძლევათ უნაღდო ანგარიშსწორების წესით შეიძინონ კვების პროდუქტები და პირველი მოთხოვნილების საგნები, ჰქონდეთ პაემანი, მიიღონ ამანათები, გადაცემები, ბანდეროლები, ფულადი გზავნილება, იქონიონ მიმოწერა, გაუგზავნონ ფულადი გზავნილება ნათესავებს“.

7. 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულთა მუშაობის დრო შრომის სტაჟში არ ჩაითვლება, გარდა კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

8. 52-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში და კოლონია-დასახლებაში, აგრეთვე მსჯავრდებულ ქალებს, რომლებსაც ნებადართული აქვთ ცხოვრება კოლონიის გარეთ ამ კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, ყველა დაქვითვის მიუხედავად, უნდა გადაუხადონ ხელფასის საერთო თანხის არანაკლებ ორმოცდაათი პროცენტისა“.

9. მე-60 მუხლის პირველი ნაწილი სიტყვების „რვაწლიანი სწავლება“ შემდეგ შეივსოს სიტყვებით: „გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლენი თავისუფლდებიან სამუშაოდან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით. ხელფასი მათ ამ პერიოდისათვის არ დაერიცხებათ, კვება უფასო აქვთ“.

10. 66-ე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიიდან კოლონია-დასახლებაში — სასჯელის ვადის სულ ცოტა ერთი მესამედის მოხდის შემდეგ, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილში და 54[1] მუხლში ჩამოთვლილი მსჯავრდებულნი, შესაბამისად, — სასჯელის დანიშნული ვადის სულ ცოტა ნახევრის და ორი მესამედის მოხდის შემდეგ“.

11. 68-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მსჯავრდებულნი, რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმის მოთხოვნებს, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება წარდგენილ იქნენ გადასაყვანად: კოლონია-დასახლებიდან იმ სახის რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოსახდელად, რომელიც მათ წინათ განუსაზღვრა სასამართლომ, ხოლო ის პირები, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის ასეთი პირებისათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში გაგზავნით, — საერთო რეჟიმის კოლონიაში; განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიიდან მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაყვანილი მსჯავრდებულები — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში; შრომა-გასწორების კოლონიიდან — საპყრობილეში არა უმეტეს სამი წლის ვადით, სასჯელის დანარჩენი ვადის კოლონიაში მოხდით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან — გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში“.

12. 74-ე მუხლის მეოთხე ნაწილი სიტყვების „გაძლიერებული ნორმით“ შემდეგ შეივსოს სიტყვებით: „ამ პირებს საექიმო კომისიის დასკვნით შეიძლება მიეცეს დამატებითი სასურსათო ამანათისა და გადაცემის მიღების ნებართვა“.

13.107-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 107. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებისათვის, სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისა და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებისათვის წარდგენა

იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე, 54[2] და 55-ე მუხლების შესაბამისად შეიძლება შეეფარდოს სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, ანდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლება, სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოს იმ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც მითითებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ჩამოთვლილ მუხლებში, შეაქვს სასამართლოში წარდგინება მსჯავრდებულის სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სჯელით შეცვლის შესახებ, ანდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლების შესახებ.

წარდგინებაში უნდა იყოს მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ მსჯავრდებულის ყოფაქცევას, მის დამოკიდებულებას შრომისადმი და სწავლებისადმი სასჯელის მოხდის მთელი დროის მანძილზე. წარდგინებასთან ერთად სასამართლოში იგზავნება მსჯავრდებულის პირადი საქმე. თუ სასამართლო უარს იტყვის ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე ანდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლებაზე, განმეორებით წარდგინება ამ საკითხზე შეიძლება არა უადრეს იმ ვადისა, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლით“.

14. შეივსოს კოდექსი შემდეგი შინაარსის 45[1] და 108[1] მუხლებით:

„მუხლი 45[1]. მოკლევადიანი გასვლა თავისუფლების აღკვეთის ადგილის ფარგლებიდან

მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში, კოლონია-დასახლებაში და შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, შეიძლება მიეცეთ თავისუფლების აღკვეთის ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ფარგლებიდან მოკლევადიანი გასვლის ნებართვა ვადით არა უმეტეს შვიდ დღე-ღამისა, გარდა იმ დროსი, რომელიც საჭიროა იქით-აქეთ მგზავრობისათვის (არა უმეტეს ხუთი დღე-ღამისა), განსაკუთრებულ პირად გარემოებასთან დაკავშირებით: ახლო ნათესავის გარდაცვალება ან მძიმე ავადმყოფობა, რაც ავადმყოფის სიცოცხლეს ემუქრება; სტიქიური უბედურება, რომელმაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა მსჯავრდებულს ან მის ოჯახს.

მოკლევადიანი გასვლის ნებართვას იძლევა შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი პროკურორთან შეთანხმებით, მსჯავრდებულის პიროვნებისა და ყოფაქცევის გათვალისწინებით. შრომა-გასწორების დაწესებულების ფარგლებს გარეთ მსჯავრდებულის ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის მოხდის ვადაში. მგზავრობის ღირებულებას იხდიან პირადად მსჯავრდებული ან მისი ნათესავები. შრომა-გასწორების დაწესებულების ფარგლებს გარეთ მსჯავრდებულის ყოფნის დროისათვის ხელფასი მას არ დაერიცხება.

განსაკუთრებულ პირად გარემოებასთან დაკავშირებით მსჯავრდებულთათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილების ფარგლებიდან მოკლევადიანი გასვლის ნებართვის მიცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით“.

„მუხლი 108[1]. პირობით თავისუფლებააღკვეთილი და თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებული პირის გათავისუფლება სასჯელის მოხდისაგან ინვალიდობის გამო

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილ ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებულ პირს, იმ შემთხვევაში, თუ მას დადგენილი წესით ცნობენ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდად და თუ ინვალიდობა მან მიიღო შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად, სასამართლო ვადამდე ათავისუფლებს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან სსრ კავშირის კანონმდებლობისა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 374[1] მუხლით დადგენილი წესით.

თუ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულმა პირმა მიიღო ისეთი მიზეზებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მის საწარმოო საქმიანობასთან, სასამართლოს შეუძლია ან ვადამდე გაათავისუფლოს ასეთი პირი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან გაგზავნოს იგი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად“.

III. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

44 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165[1] მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაემატოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 165[1] მუხლს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ ნასამართლევი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევისათვის, ანდა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, —

— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, პროდუქტების კონფისკაციით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 27 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

45 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვილებათა შეტანის შესახებ

„დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. დაემატოს კოდექსს 122[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 122[1]. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ხანმოკლე დაკავების წესი

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ხანმოკლე დაკავების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ“.

2. კოდექსის 88-ე მუხლს დაემატოს ახალი ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი მოთავსებულია დაკავების ადგილში სამ დღე-ღამემდე ვადით, მასზე ვრცელდება „დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულების წესები“.

3. კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ყოველი შემთხვევის შესახებ მოკვლევის ორგანო მოვალეა შეადგინოს ოქმი დაკავების საფუძვლის, მოტივების, წლისა და თვის, დღისა და საათის, დაკავების ადგილის, დაკავებულის ახსნა-განმარტების, ოქმის შედგენის დროის აღნიშვნით და ოცდაოთხი საათის განმავლობაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ პროკურორს. დაკავების ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი პირი და დაკავებული“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 27 აპრილი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

46 საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო** წოდება:

თამარ პავლეს ასულ **აბაშიძეს** — ბორჯომის რაიონის ახალდაბის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

აკაკი გრიგოლის ძე **არჩვაძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორს.

გულნარა გრიგოლის ასულ **გაბისონიას** — თბილისის 67-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ანტონ კირილეს ძე **გოგიას** — ხობის რაიონის ნოჯიხევის საშუალო სკოლის დირექტორს.

მარიამ დავითის ასულ **გოგილაშვილს** — სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლის ორგანიზატორს კლასგარეშე და სკოლის გარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

დარიკო ილიას ასულ **გოჩაშვილს** — ქარელის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თამარ ფილიპეს ასულ **თავაძეს** — მახარაძის № 1 ბაგა-ბაღის გამგეს.

ვლადიმერ გიორგის ძე **იმერლიშვილს** — მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათრახან მელიტონის ძე **იმნაიშვილს** — რუსთავის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს.

ვალენტინა ვლადიმერის ასულ **იმნაძეს** — თბილისის 114-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თინათინ ევსევის ასულ **კაჭარავას** — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეკატერინე ანდრიას ასულ **კოსოვას** — რუსთავის საბავშვო სახლის დირექტორს.

კონსტანტინე დავითის ძე **ლეჟავას** — გარდაბნის რაიონის ვაზიანის საშუალო სკოლის დირექტორს.

გიორგი ზაქარიას ძე **მაისურაძეს** — გურჯაანის რაიონის შრომის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ლიდა გიორგის ასულ **მამუკაშვილს** — თბილისის რკინიგზის № 1 საშუალო სკოლს მასწავლებელს.

სტეფანე იაკობის ძე **მამუკაშვილს** — ასპინძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების გამგეს.

რაჟდენ დიმიტრის ძე **მახათაძეს** — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

დავით ნურის ძე **მახარაძეს** — ხელვაჩაურის რაიონის ხელვაჩაურის საშუალო სკოლის დირექტორს.

თამარ სავლეს ასულ **მაღრაძეს** — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ლუბა იაგორის ასულ **მეგრელიძეს** — თბილისის 132-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ვიქტორინა მელიქის ასულ **მელიქიანს** — თბილისის 32-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გიორგი არსენის ძე **მნაცაკანოვს** — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების სპორტსკოლის დირექტორს.

ანასტასია აპოლონის ასულ **პაპასკირს** — სოხუმის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ალექსანდრე თევდორეს ძე **სონგულიას** — წალენჯიხის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის დირექტორს.

ნინო ვახტანგის ასულ **ქართველიშვილს** — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ციალა ორესტის ასულ **ქირიას** — ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გიორგი დიმიტრის ძე **ჩამურლიევს** — წალკის საშუალო სკოლის დირექტორს.

ლეონიდ თომას ძე **ჩიქვანაიას** — თბილისის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუბა სერგოს ასულ **წიქვაძეს** — თბილისის № 24 საბავშვო ბაღის გამგეს.

ლუდმილა ალექსანდრეს ასულ **ხოტელაშვილს** — თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მაგდალინა ფრიცის ასულ **ხუციშვილს** — თბილისის 63-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

ოლღა აკიმის ასულ **ჯაბიევას** — ჯავის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეთერ ვასილის ასულ **ჯაფარიძეს** — თბილისის 124-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

ნუნუ პავლეს ასულ **ჯორბენაძეს** — თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1977 წლის 19 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

47 ამხ. ნ. ტ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ნიკოლოზ ტარასის ძე **გელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1977 წლის 4 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

48 ამხ. ბ. ნ. კეშელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი გრიგოლ ნიკოლოზის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეშელაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1977 წლის 4 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

49 ამხ. ი. ლ. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის კადრების აღზრდისათვის გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით, პროფესორი ივანე ლეონტის ძე **ჯაში** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1977 წლის 4 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

50 კიევის ივ. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისში 1977 წლის აპრილში წარმატებით გამოსვლასთან დაკავშირებით, უკრაინელ და ქართველ ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, **კიევის ივ. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1977 წლის 11 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

51 ამხ. ბ. ს. ჭოველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. გიორგი სოლომონის ძე **ჭოველიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1977 წლის 13 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

52 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

მერი სურენის ასული **აზარაშვილი** — თბილისის 159-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

პავლე ნიკოლოზის ძე **არაბული** — თიანეთის რაიონის ღულელების საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ალექსანდრე სიმონის ძე **ახობაძე** — დუშეთის რაიონის პირმისაანთკარის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

ნონა დიმიტრის ასული **აუცე-ტრაგანადაკი** — თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ეთერ იასონის ასული **გაბისონია** — გეგეჭკორის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ფილიმონ მელიტონის ძე **გელაშვილი** — ორჯონიკიძის რაიონის კიცხის საშუალო სკოლის დირექტორი.

არჩილ გრიგოლის ძე **გოგელია** — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" უფროსი რედაქტორი.

თამარ ივანეს ასული **დახუნდარიძე** — ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი.

ნაზიბროლა ვასილის ასული **დობორჯგინიძე** — თბილისის 101-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ნათელა ანდროს ასული **დოლიძე** — თბილისის მე-100 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ვლადიმერის ძე **ელიზბარაშვილი** — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი.

ალექსი გიორგის ძე **თვალიაშვილი** — თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

რუბენ ივანეს ძე **თუთაბერიძე** — ზესტაფონის რაიონის ფუთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი.

ალექსანდრე თომას ძე **კვაჭაძე** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

ნელი გიორგის ასული **კეპულაძე** — თბილისის № 14 საბავშვო ბაღის გამგე.

მანანა კალისტრატეს ასული **კობახიძე** — თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ციალა დიმიტრის ასული **ლაპიაშვილი** — წითელწყაროს რაიონის ზემოქედის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ოთარ გორგის ძე **ლომიძე** — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

მარიამ გიორგის ასული **მაჩხანელი** — თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მავრა ილარიონის ასული **მგალობლიშვილი** — გარდაბნის რაიონის კოჯრის № 1 საბავშვო სახლის დირექტორი.

გიორგი ნოშრევანის ძე **მერკვილაძე** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორი.

ლეილა ვლადიმერის ასული **ნინიძე** — თბილისის 65-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

ნათელა კალისტრატეს ასული **ყორდანია** — თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ანტიპ ბაგრატის ძე **რაფავა** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

თინა ვასილის ასული **სინაურიძე** — თბილისის № 46 ბაგა-ბაღის გამგე.

ქეთევან ირაკლის ასული **ტუსკია** — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

დიმიტრი გრიგოლის ძე **ყარაშვილი** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის უფროსი ბუღალტერი.

ნინო ზაქარიას ასული **ქადეიშვილი** — თბილისის 72-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

თეიმურაზ გიორგის ძე **ქრისტინაშვილი** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების უფროსი.

რაფიელ ბესარიონის ძე **შავგულიძე** — ყვარლის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი.

მაყვალა აბოს ასული **ჩუბინიძე** — თბილისის № 83 ბაგა-ბაღის გამგე.

ელენე სტეფანეს ასული **ძნელაძე** — თბილისის კალინინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

ვლადიმერ დავითის ძე **ხუბულური** — გადამდგარი გენერალ-მაიორი.

ესმა მერაბის ასული **ჯანჯიბუხაშვილი** — თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი მასწავლებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

53 ამხ. გ. ს. ბარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ახალციხის რაიონული განყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი გივი სამსონის ძე **ბარაძიმე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

54 ამხ. ი. ი. ბენის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი პოლკოვნიკი იური ივანეს ძე **ბენი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

55 ამხ. პ. ა. გუნკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დამზადების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს სამმართველოს უფროსი ამხ. კლავდია ანდრიას ასული გუნკო დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

56 ამხ. პ. ი. სარდარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი პარუნაკ ისაკის ძე **სარდარიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

57 ამხ. ა. ა. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობასა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ანგია ალექსის ძე **ბოჭორიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

58 ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. სერგო ტარასის ძე **რიგვავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 29 აპრილი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1977 წლის 27 აპრილის სხდომაზე განიხილა საკითხი „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის შესრულების მდგომარეობის თაობაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და აღნიშნა, რომ ოლქის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესრულებისათვის.

ამასთან, სხდომაზე აღინიშნა, რომ ოლქში ყველგან არ სრულდება კანონის მოთხოვნა საბჭოს მუშაობაში თითოეული დეპუტატის აქტიური მონაწილეობის შესახებ. ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არ იცავს სესიის ჩატარების დროისა და დღის წესრიგის შესახებ დეპუტატების ინფორმირების დადგენილ წესს, ზოგან სესიები ნაჩქარევად და მოუმზადებლად ტარდება.

სესიებზე განსახილველი საკითხების შესწავლაში ნაკლებად არიან ჩაბმული დეპუტატები. ისინი ყოველთვის ვერ იყენებენ სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენების უფლებას (ცხნვალის რაიონის ძარის, ხეთაგუროვის, ქსუისის სასოფლო საბჭოები).

აღმასკომები იშვიათად აწვდიან დეპუტატებს ინფორმაციებს სესიებს შორის გაწეული მუშაობის, სესიებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების, საბჭოს გადაწყვეტილებათა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ზნაურის რაიონული, აგრეთვე ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის და გერის სასოფლო საბჭოები სათანადო დახმარებას არ უწევენ მუდმივ კომისიებს და არ ახდენენ მათი საქმიანობის კოორდინაციას.

ზნაურის რაისაბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კომისიას 1976 წელს მხოლოდ ერთი საკითხი აქვს მომზადებული, ხოლო ზნაურის რაიონის ბალთის სასოფლო საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კომისიას შარშან არც ერთი საკითხი არ მოუმზადებია სესიისა და აღმასკომის სხდომისათვის. ქურთის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივ კომისიებს სხდომები არ ჩაუტარებიათ 1976 წლის დეკემბრის შემდეგ.

წარმოება-დაწესებულებები და ორგანიზაციები დროულად არ უგზავნიან პასუხებს საბჭოებსა და აღმასკომებს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. (მაგალითად, ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობა).

ზოგჯერ საბჭოების სესიებზე საკითხების განხილვაში აქტიურად არ მონაწილეობენ დეპუტატები. ზნაურის რაისაბჭოს მე-7 სესიაზე კამათში გამოსული 9 კაციდან მხოლოდ ოთხი იყო დეპუტატი. ამავე რაიონის ავნევის სასოფლო საბჭოს მიერ 1976 წელს მოწვეულ შვიდ სესიაზე კამათში გამოსულია 20 დეპუტატი, ანუ მთელი შემადგენლობის 41,7 პროცენტი.

არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე სესიებზე დეპუტატთა დასწრების მდგომარეობა. კერძოდ, ზნაურის რაისაბჭოს მეექვსე სესიას 75 დეპუტატიდან არ ესწრებოდა 22, ანუ დეპუტატთა საერთო რაოდენობის 29,3 პროცენტი.

არარეგულარულად ტარდება „დეპუტატის დღე“, სემინარები და მეცადინეობები საბჭოთა აქტივის სკოლებში დეპუტატები საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი საცნობარო და საინფორმაციო მასალებით. აღმასკომები ნაკლებად სწავლობენ და ანზოგადებენ მოწინავე დეპუტატთა მუშაობის გამოცდილებას, არ ზრუნავენ დეპუტატთა ოთახისა და კუთხეების მოწყობისათვის.

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საკმარის მომთხოვნელობას არ იჩენენ წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა იმ ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც ან საერთოდ არ იხილავენ სესიებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ან არ იცავენ მათზე პასუხის გაცემის დადგენილ ვადებს.

ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელი არღვევს დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნას დეპუტატის შრომის უფლების დაცვისა და ხელშეუხებლობის შესახებ.

საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ზოგჯერ მჭიდროდ არ არის დაკავშირებული სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულებასთან. კერძოდ, შესრულებული არ არის სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი და 1976 წლის გეგმები. სერიოზული ნაკლოვანებებია მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში.

დეპუტატები სათანადოდ არ არიან მობილიზებულნი საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად. კოლმეურნეობებში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. კერძოდ, ოლქში 1976 წელს

4.744 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი-
ან გამოუმუშავებია 1.260 კოლმეურნეს, ანუ 26,5 პროცენტს, ხოლო საკოლმე-
ურნეო შრომაში მონაწილეობა არ მიუღია 342 კოლმეურნეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებს მიიღონ ქმედითი ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა განუხრელად განხორციელებისათვის, რისთვისაც:

თავიანთ საქმიანობაში მთავარ მიმართულებად მიიჩნიონ დეპუტატთა შემოქმედებითი ინიციატივისა და საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომი განვითარება, მათი ავანგარდული როლის ამაღლება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვის საქმეში;

უზრუნველყონ დეპუტატების, ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის საფუძვლიანად შესწავლა და მის ყველა მოთხოვნათა განუხრელად შესრულება; პერიოდულად მოაწყონ დეპუტატთა შეკრებები მათი უფლება-მოვალეობების, პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვანი დადგენილებებისა და საბჭოთა მშენებლობის ცალკეული საკითხების განმარტების მიზნით;

საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში აქტიურად ჩაებან დეპუტატები. გულისხმიერებით მოეკიდონ მათ მიერ დაყენებული საკითხების განხილვასა და განხორციელებას. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები მოსახლეობას განუმარტავდნენ პარტიისა და მთავრობის, აგრეთვე საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს, აწვდიდნენ ინფორმაციას ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

მხარი დაუჭირონ დეპუტატების შემოქმედებით ინიციატივას. მეტი ყურადღება დაუთმონ საბჭოების სესიებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვას და შესრულებას, ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხორციელებას;

ქმედითი დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, მიაღწიონ იმას, რომ ისინი სრულად იყენებდნენ მათთვის დებულებთ მინიჭებულ უფლებებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოების საქმიანობაში;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვას. დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდეს მეათე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური შეჯიბრებით აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებას;

მტკიცედ დაიცვან კანონის მოთხოვნა დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ხელფასის გაცემისა და დეპუტატის ხელმეუხებლობის შესახებ. მკაცრად მოსთხოვონ პასუხი იმ პირებს, ვინც არღვევს კანონს;

პრესის, რადიოსა და სხვა საშუალებებით განაზოგადონ და ფართოდ გააშუქონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა მუშაობის დადებითი გამოცდილება;

კ) გაშალონ სათანადო მოსამზადებელი მუშაობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მორიგი არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად.

* *
*

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე დირექტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ მაიაკოვსკის სადაბო და ყვარლის რაიონის შილდის სასოფლო საბჭოებში.

აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის სადაბო და ყვარლის რაიონის შილდის სასოფლო საბჭოები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილებით, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით და კანონით მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ სათანადო მუშაობას ეწევიან მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ამასთან, მშრომელთა დეპუტატების შილდის სასოფლო და მაიაკოვსკის სადაბო საბჭოების მუშაობის დონე ჯერ კიდევ სრულად ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. ისინი კვლავ სათანადო გავლენას ვერ ახდენენ კოლმეურნეობებისა და საწარმოო კოლექტივების სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, არასაკმარისად იღწვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

აღსანიშნავია, რომ შილდის კოლმეურნეობამ 1976 წელს ვერ უზრუნველყო ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმების შესრულება. ამასთან, დიდი იყო თვითღირებულება. კერძოდ, სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ ნაცვლად დაგეგმილი 30 ცენტნერისა 21 ცენტნერი შეადგინა, ხოლო ცენტნერი რძის წარმოება ნაცვლად 21,5 მანეთისა 30,1 მანეთი დაჯდა, ცენტნერი ყურძნისა — 83,4 მანეთი ნაცვლად 27,8 მანეთისა.

1976 წელს სოფელ შილდაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა არ შესრულდა ხუთ სახეობაში; ამასთან, შილდელ მშრომელებს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13-სა მომსახურება მხოლოდ 5 სახეობაში გაეწიათ.

ნაკლოვანებებია მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში. მიმდინარე წლის ორ თვეში კინოსეანსებზე მაყურებელთა დაესწრების გეგმა 96 პროცენტით, ხოლო შემოსავლების გეგმა 72,9 პროცენტით შესრულდა.

შილდის სასოფლო საბჭო სათანადო ღონისძიებებს არ ატარებს დანაშაულობათა აღმოსაფხვრელად. კერძოდ შარშან, 1975 წელთან შედარებით, გაიზარდა ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი და ეს მაშინ, როდესაც ბოლო ორ წელიწადს მთლიანად რაიონში შეინიშნება დანაშაულის შემცირების ტენდენცია.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმები ვერ სრულდება დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობაშიც. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ აქ 17,9 ჰექტარი შეადგინა.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიც. დაბის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში გეგმა 71 პროცენტით შესრულდა. ზოგიერთი სავაჭრო ობიექტი მოთავსებულია უვარგის, დაქირავებულ შენობაში. ვაჭრობის წესების დარღვევისათვის სავაჭრო ობიექტების 5 მუშაკი განთავისუფლდა სამუშაოდან, ხოლო 23-ს სხვადასხვა ადმინისტრაციული სასჯელი შეეფარდა.

დაბა მაიაკოვსკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში არ არის შექმნილი საჭირო პირობები მუშაობისათვის. ხშირია სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დარღვევის, შეკვეთების დაგვიანებით და უხარისხოდ შესრულების, საპრეისკურანტო ფასების დამახინჯების შემთხვევები.

არ სრულდება საწარმოო გეგმებიც. მაიაკოვსკის სამშენებლო-სარემონტო უბანმა 1976 წლის გეგმა 97 პროცენტით შეასრულა, ხოლო მიმდინარე წლის ორი თვისა — 80 პროცენტით.

დაბის მოსახლეობა კლუბის გაჭიანურებული რემონტის გამო უკვე 6 თვეა მოკლებულია კინომომსახურებას.

მაიაკოვსკის სადაბო და შილდის სასოფლო საბჭოებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები აქვთ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში. მუდმივი კომისიები აქტიურად არ მონაწილეობენ აღმასკომების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებში, საკმარისი ყურადღება არ ექცევა სესიებისა და საბჭოების მუდმივი კომისიების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს. პრაქტიკაში არ არის დანერგილი ინფორმაციების მოსმენა წინა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მაიაკოვსკის სადაბო საბჭოში ადგილი ჰქონდა დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის 32-ე და 37-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების შილდის სასოფლო და მაიაკოვსკის სადაბო საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. გ. აღნიაშვილი და ნ. გულეიშვილი) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 8 მარტის დადგენილების შესასრულებლად, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აამაღლონ სესიების მომზადებისა და ჩატარების დონე. დეპუტატებს სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

მეტად ჩააბან მუდმივი კომისიები საბჭოს სესიების განსახილველი საკითხების მომზადებაში, საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და კომისიების რეკომენდაციების შესრულების შემოწმებასა და კონტროლში. კომისიების მუშაობაში უფრო ფართოდ მიიზიდონ სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი;

განუხრელად იზრუნონ იმისათვის, რათა „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად თითოეული დეპუტატი აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მუდმივი კავშირი ჰქონდეს თავის ამომრჩეველებთან;

რეზერვების გამონახვის და სრულად გამოყენების გზით მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ ამაღლებას. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მექანიზაციის ფართოდ დანერგვით აამაღლონ წარმოებული პროდუქციის ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება;

უზრუნველყონ თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული მშრომელის რიტმული და გამართული მუშაობა, საგეგმო დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. გამუდმებით იზრუნონ ყველა უბანზე შრომისადმი ჭეშმარიტად კომუნისტური დამოკიდებულების დამკვიდრებისათვის;

აამაღლონ სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე, გააუმჯობესონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, სკოლების, სამედიცინო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა;

მიიღონ საჭირო ზომები საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ყველა ანტისაზოგადოებრივ მოვლენას.

მშრომელთა დეპუტატების ყვარლისა და მაიაკოვსკის რაისაბჭოების აღმასკომებს დაევალათ სრულყონ ადგილობრივი საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები; უზრუნველყონ, რათა მათ სრულად გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, წარმატებით გადაწყვიტონ დასახული ამოცანები.

* *

*

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი 1976 წელს რესპუბლიკის მშრომელების „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღინიშნა, რომ „შრომის ვეტერანის“ მედლით მშრომელთა დაჯილდოების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულება რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების მრავალი ადგილობრივი საბჭოს მიერ არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

1977 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოებულია მხოლოდ 16.762 კაცი, (22,8 პროცენტი). ამ მაჩვენებლით მოკავშირე რესპუბლიკათა შორის საქართველოს მე-14 ადგილი უკავია. ასეთი მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ქ. თბილისი (განსაკუთრებით ლენინის, პირველი მაისის, საქარხნო რაიონები), აჭარის ასს რესპუბლიკა, ზესტაფონის, ზუგდიდის, მარნეულის, მახარაძის, სამტრედიის, თელავისა და სხვა რაიონები შუამდგომლობებს მშრომელთა დაჯილდოების შესახებ მეტად მცირე რაოდენობით გზავნიან.

1976 წელს არც ერთი კაცი არ წარმოუდგენიათ დასაჯილდოებლად ტყიბულისა და ფოთის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ბორჯომის, გურჯაანის, ყაზბეგის, ყვარლის, ლაგოდეხის, მესტიის, ონის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ცაგერის რაიაღმასკომებს.

ბევრი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობს შრომის ვეტერანთა დაჯილდოების საქმეს, იშვიათად იხილავს ამ საკითხს, საჭირო ზომებს არ იღებს, რათა წარმოება-დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა დროულად წარმოუდგინონ მათ დასაჯილდოებელ პირთა სია. ადგილობრივი საბჭოების რიგი აღმასკომები მშრომელთა „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოებისათვის საჭირო მასალებს დიდი დაგვიანებით გზავნიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. მასალები ხშირად უხარისხოდ არის შედგენილი, მოითხოვს დაზუსტებას, დამახინჯებულია გვარი, სახელი, თანამდებობა. ზოგჯერ საბუთებიდან არ ჩანს განაგრძობენ თუ არა პენსიაზე გასული მშრომელები შრომას ან ეწევიან თუ არა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას (ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, წალენჯიხის, წულუკიძის, ქ. თბილისის კიროვის რაიაღმასკომები).

რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომები მშრომელებს მედლებს გადასცემენ დაგვიანებით, ჯილდოების გადაცემა საზეიმო ვითარებაში არ ხდება. ბრძანებულებებს „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების შესახებ რეგულარულად არ აქვეყნებენ პრესაში, ანგარიშებს მედლის გადაცემის შესახებ დროულად არ უგზავნიან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უახლოეს დროში განიხილონ „შრომის ვეტერანის“ მედლით რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეთა დაჯილდოების მდგომარეობა და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ამ საქმის ძირეულად გაუმჯობესებისათვის;

„შრომის ვეტერანის“ მედლით მშრომელთა დაჯილდოების დროს განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით, დებულებითა და 1976 წლის 20 მაისს მიღებული ახალი ინსტრუქციით;

განახორციელონ ღონისძიებანი, რომ წარმოება-დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა დროულად აღუძრან შუამდგომლობანი „შრომის ვეტერანის“ მედლით დასაჯილდოებლად იმ მშრომელებს, რომლებმაც დაიმსახურეს იგი ხანგრძლივი და პატიოსანი შრომით; ამასთან ჯილდო გადასცენ საზეიმო ვითარებაში;

— მიიღონ ზომები, რათა ბრძანებულებები „შრომის ვეტერანის“ მედლით მშრომელთა დაჯილდოების შესახებ სისტემატურად ქვეყნდებოდეს ადგილობრივ პრესაში, გადაიცემოდეს რადიოთი, ტელევიზიით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების გაერთიანებული სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკაში საქართველოს სსრ კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის საბჭოთა, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნათა განსახორციელებლად.

ამასთან, სხდომაზე ითქვა, რომ გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად ამ მიმართულებით მუშაობაში ჯერ კიდევ არის დარღვევები და ნაკლოვანებები.

ბევრი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების სანიტარიული მდგომარეობა არ პასუხობს ნორმების მოთხოვნებს (ქალაქები თბილისი, ფოთი, ზნაურის, ლაგოდეხის და სხვა რაიონები). დამაკმაყოფილებელი არ არის აფთიაქების მატერიალური ბაზის მდგომარეობა.

რესპუბლიკაში მრავალი წლის მანძილზე ვერ სრულდება სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მშენებლობის სახელმწიფო გეგმა.

ნაკლოვანებებია გურჯაანის, ყვარლის, დმანისის, ლაგოდეხის, ასპინძის, ლანჩხუთის, წყალტუბოს, გეგეჭკორისა და სხვა რაიონებში სამედიცინო კადრების განაწილებისა და სამუშაოზე მათი შენარჩუნების საქმეში. განსაკუთრებით ცუდი ვითარება შეიქმნა მაღალმთიან რაიონებში.

ჯერ კიდევ ირღვევა გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

სათანადო დონეზე არ არის სამამულო ომის ინვალიდების სამედიცინო მომსახურება. ასევე არადამაკმაყოფილებელია დედისა და ბავშვის სამედიცინო მომსახურებაც.

ზოგიერთ საწარმოში ირღვევა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნა, რომელიც შეეხება შრომისა და დასვენების შესაბამისი პირობების შექმნას ფეხმძიმე ქალებისა და იმ დედებისათვის, რომლებსაც ~~ძუძუთი~~ ბავშვები ჰყავთ, (კრწანისის ზონალური აგროქიმიური ლაბორატორია, სართიჭალის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, მევენახეობისა და მეხილეობის ტრესტი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი და სხვ.).

სერიოზული ნაკლოვანებებია ავადმყოფთა კვების საქმეშიც.

ირღვევა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნა მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. რესპუბლიკაში სისტემატურად არ სრულდება საკანალიზაციო ქსელისა და საწმენდი ნაგებობების მშენებლობის სახელმწიფო გეგმა.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის სანიტარიული ნორმების დარღვევის შემთხვევები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სისტემაში.

არადამაკმაყოფილებელია სამკურნალწამლო საშუალებებით მოსახლეობისა და სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა.

ბევრ საფთიაქო დაწესებულებაში არ არის სამკურნალო პრეპარატები, თუმცა ისინი საკმარისი რაოდენობით აქვს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ საფთიაქო სამმართველოს.

ზემოთ აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნათა განუხრელ შესრულებას, ხოლო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა კანონის მოთხოვნათა შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიებმა, რომლებმაც განიხილეს ჯანმრთელობის დაცვის კანონის შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ს. რიგვავა, რესპუბლიკის სამხედრო კომისარი ვ. მურუსიძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. ზედგინიძე, სამედიცინო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე კ. გოგოძე, მაღლაკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. შარვაშიძე, თბილისის ცხიმკომბინატის მუშა ნ. არმაგანოვა და სხვები.

მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ჯ. პატიაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამოკვლევათა და რეკომენდაციათა პრაქტიკაში დანერგვის მდგომარეობა.

აღინიშნა, რომ სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში ტარდება დიდი მუშაობა სამეცნიერო გამოკვლევათა და აღმოჩენათა დასანერგავად.

ამასთან ერთად, სხდომაზე ლაპარაკი იყო სამეცნიერო გამოკვლევების პრაქტიკაში დანერგვის საქმეში ჯერ კიდევ არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ასე მაგალითად, არ არის დანერგილი პრაქტიკაში ფიზიკური და ორგანული ქიმიის და არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტების მიერ დამუშავებული პოლიმეტალური მადნების და ჭიათურის დაბალი ხარისხის მანგანუმის კომპლექსური ავტოკლავური გადამუშავების მეთოდი სპილენძის ფხვნილის და აქტიური ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის მისაღებად. ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების თანახმად ამ მეთოდის გამოყენების შედეგად წლიური ეკონომია 20 მილიონ მანეთს შეადგენს, ხოლო საწარმოო ნარჩენები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სილიკატური მასალების მისაღებად, საკითხის გადაწყვეტა გვიანდება დაინტერესებული ორგანიზაციების შეუთანხმებლობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული უწყვეტად მოქმედი საცდელ-სამრეწველო დანადგარის პროექტი, რომელიც აუცილებელია ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფისა და დაზუსტებისათვის.

ნაკლოვანებები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამოკვლევებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის საქმეში გამოწვეულია იმით, რომ სუსტია ზოგიერთი ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური და ექსპერიმენტული ბაზა.

არ არის სათანადო კონტაქტი საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, ხშირად საწარმოთა ხელმძღვანელები ფორმალურად ეკიდებიან მეცნიერული გამოკვლევებისა და რეკომენდაციების წარმოებაში დანერგვას.

*

* *

განხილულ საკითხებზე კომისიებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. თ. ლაშქარაშვილი.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმის 1977 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 214 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისში		10
ქ. რუსთავში		8
ქ. ტყიბულში		2
აბაშის	რაიონში	22
ახალციხის	„	4
ბოლნისის	„	28
გორის	„	15
დმანისის	„	28
ვანის	„	2
თელავის	„	7
თიანეთის	„	1
ლაგოდეხის	„	28
მახარაძის	„	9
მესტიის	„	6
მცხეთის	„	6
ონის	„	2
ორჯონიკიძის	„	3
ქარელის	„	20
ჩოხატაურის	„	5
წითელწყაროს	„	5
წულუკიძის	„	3

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 1010 კაცი:

ქ. თბილისის	ლენინის	რაიონში	79
„	I მაისის	„	181
„	კალინინის	„	112
„	26 კომისრის	„	22
„	ორჯონიკიძის	„	95
„	საქარხნო	„	64
ქ. გორში			25
ქ. ქუთაისში			51
ქ. ტყიბულში			77

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგდანოვკის	რაიონი	12
თელავის	„	10
დუშეთის	„	3
გორის	„	43
მაიაკოვსკის	„	9
მესტიის	„	4
მცხეთის	„	12
ყაზბეგის	„	5
ცაგერის	„	29
ცხაკაიას	„	54
წალკის	„	15
წალენჯიხის	„	32
ხაშურის	„	76

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით ბოგდანოვკის რაიონის განძნის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ფოკა და ვლადიმიროვკა და შეიქმნა ფოკის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ფოკაში.

წალკის რაიონის ბაშქოის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები არჯევან-სარვანი, თეჯისი, ჩოლმანი, მინსაზქენდი, გედაქლარი და შეიქმნა არჯევან-სარვანის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ არჯევან-სარვანში.